ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ფრაქცია ,,ევროპელი სოციალისტების" თავმჯდომარის მოადგილის, თამთა ბაკურაძის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ

ანგარიში №1

საანგარიშო პერიოდი: ოქტომბერი 2025 – ოქტომბერი 2026

წინამდებარე ანგარიშის მიზანია საზოგადოების ინფორმირება 2025 წლის ოქტომბრიდან, 2026 წლის ოქტომბრამდე საანგარიშო პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ. ანგარიში ასახავს წარმომადგენლობითი ორგანოს, საკრებულოს კომისიებსა და ფრაქციაში ჩემს ჩართულობას.

საანგარიშო პერიოდში ჩემი საქმიანობის ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენდა მოსახლეობის ინტერესების დაცვა, მოქალაქეთა საჭიროებებზე რეაგირება, მუნიციპალიტეტის განვითარებაში მონაწილეობა და ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

წარმომადგენლობით ორგანოში საქმიანობა

საანგარიშო პერიოდში ვმონაწილეობდი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 13 სხდომაში (11 რიგითი, 2 რიგგარეშე). ჩემი საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება იყო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა, არსებული პრობლემების შეფასება და მათი გადაჭრის შესაძლო გზებზე მსჯელობა. განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობდი მუნიციპალიტეტის განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს, მოქალაქეთა საჭიროებების გათვალისწინებასა და ისეთი გადაწყვეტილებების მხარდაჭერას, რომლებიც ხელს შეუწყობდა ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის გაუმჯობესებას.

ქალაქ ქუთაისის საკრებულოს კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია

საანგარიშო პერიოდში, როგორც ქალაქ ქუთაისის საკრებულოს კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრი, მონაწილეობა მივიღე 5 სხდომაში, სადაც განხილულ იქნა 13 საკითხი. კომისიის საქმიანობის ფარგლებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებ შესაბამისი საკითხების შესწავლას, აღმოჩენილი გამოწვევების შეფასებას, მოქალაქეთა საჭიროებების გათვალისწინებასა და შესაბამისი ინიციატივების მხარდაჭერას. მნიშვნელოვანია არსებული პრობლემების გამოვლენა და მათი გადაჭრის შესაძლო გზებზე მუშაობა, რათა მიღებული გადაწყვეტილებები მაქსიმალურად პასუხობდეს მოსახლეობის ინტერესებს. აღნიშნულ კომისიაში, ჩემი საქმიანობის პერიოდში განხილული საკითხებიდან, განსაკუთრებით გამოვყოფ რამდენიმე მნიშვნელოვან თემას.

- კულტურის მიმართულებით განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მუნიციპალიტეტში კულტურული ღონისძიებებისა და ინიციატივების მხარდაჭერას, ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობისა და ტრადიციების შენარჩუნებას, რომელიც ხელს შეუწყობს კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა ჩართულობის ზრდასა და მუნიციპალიტეტის კულტურული პოტენციალის წარმოჩენას.
- სპორტის მიმართულებით პრიორიტეტულია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, სპორტული ღონისძიებებისა და აქტივობების ხელშეწყობა, ახალგაზრდებში სპორტისადმი ინტერესის გაღვივება და სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების საჭიროებების განხილვა.

- განათლების მიმართულებით აქტიურად ვმუშაობ და ვიღებ მონაწილეობას მოსწავლეებისა და ახალგაზრდების განვითარებისთვის შესაბამისი პირობების გაუმჯობესების თემებზე. ასევე, აქტიურად ვმუშაობ საგანმანათლებლო დაწესებულებების საჭიროებებთან დაკავშირებულ საკითხებზე.
- ახალგაზრდულ საქმეთა მიმართულებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდების ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინება, მათი საზოგადოებრივ პროცესებში ჩართულობის გაზრდა, ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა და პიროვნული თუ პროფესიული განვითარების შესაძლებლობების ხელშეწყობა. ახალგაზრდების აქტიური მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში ხელს უწყობს ახალი იდეების წარმოჩენასა და მუნიციპალიტეტის სამომავლო განვითარებას.

ქალაქ ქუთაისის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია

საანგარიშო პერიოდში, აქტიურად ვმონაწილეობდი ქალაქ ქუთაისის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომებში, დავესწარი 9 სხდომას, სადაც განხილულ იქნა 10 საკითხი. როგორც ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი, ჩემს საქმიანობას ძირითადად განსაზღვრავდა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური მხარდაჭერისა და მოქალაქეთა საჭიროებებზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების ხელშეწყობა. აღსანიშნავია ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა მიმართულებებით განხორციელებული რეფორმები.

- ჯანდაცვის მიმართულებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის საკითხებს, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობასა და ჯანდაცვის სფეროში არსებული საჭიროებების განხილვას. მნიშვნელოვანია იმ გამოწვევების გამოვლენა, რომლებიც მოქალაქეებს სამედიცინო მომსახურების მიღებისას ექმნებათ და შესაბამისი საკითხების განხილვა მათი გადაჭრის შესაძლებლობების გათვალისწინებით.
- სოციალური მიმართულებით ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია სოციალურად დაუცველი ოჯახების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, ხანდაზმულებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების გათვალისწინება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს იმ მოქალაქეებს, რომლებსაც სხვადასხვა სოციალური თუ ეკონომიკური გარემოების გამო დამატებითი მხარდაჭერა ესაჭიროებათ.

სწორედ ასეთი სიღრმისეული საკითხების შესწავლას ემსახურება როგორც, ადგილობრივი ისე გასვლითი სხდომები. ერთ-ერთი სხდომა ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ გამართა №4 შერეულ პოლიკლინიკაში. ადგილზე გავეცანით დაწესებულების საქმიანობას, მოვისმინეთ ანგარიში, ვისაუბრეთ მიღწეულ შედეგებსა და სამომავლო გეგმებზე.

ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობა ეფუძნებოდეს მოქალაქეთა საჭიროებების გათვალისწინებას, თანასწორობის პრინციპს და თითოეული ადამიანის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობას.

მჯერა, რომ თანმიმდევრული მუშაობა, მოქალაქეებთან მჭიდრო თანამშრომლობა და შესაბამისი საკითხების დროული განხილვა ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის მიმართულებების განვითარებას და მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

ფრაქცია „ევროპელი სოციალისტები“

საანგარიშო პერიოდში აქტიურად ვიღებდი მონაწილეობას ფრაქციის საქმიანობაში, სულ ჩატარდა 6 სხდომა და განხილულ იქნა 11 საკითხი. როგორც საკრებულოს ფრაქცია „ევროპელი სოციალისტების“ თავმჯდომარის მოადგილე, ჩემი მიზანია მაქსიმალურად ორიენტირებული ვიყო მოსახლეობის ინტერესებზე, რაც მოითხოვს ფრაქციის საქმიანობის ეფექტიანად და კოორდინირებულ მუშაობას, საერთო პოზიციების ჩამოყალიბებას, მნიშვნელოვანი საკითხების განხილვას და გონივრულად გადაწყვეტას, ამასთანავე, მნიშვნელოვანია საკრებულოს დღის წესრიგში არსებული საკითხების გაანალიზება, შესაბამისი წინადადებების განხილვა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში აქტიური მონაწილეობა, მოქალაქეებთან ურთიერთობა, მათი პრობლემებისა და საჭიროებების მოსმენა, შესაბამისი საკითხების აქტუალიზება და მათი მოგვარება.

საქმიანობის მიზანი და სამომავლო ხედვა

ჩემი საქმიანობის მთავარი მიზანი არის მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესება, მოქალაქეთა საჭიროებებზე დროული და ეფექტიანი რეაგირება და მუნიციპალიტეტის განვითარებაში საკუთარი წვლილის შეტანა. ჩემთვის მნიშვნელოვანია თითოეული მოქალაქის ინტერესების დაცვა, სოციალური მხარდაჭერის გაძლიერება, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა და კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდული მიმართულებების განვითარება. მჯერა, რომ პასუხისმგებლიანი საქმიანობით, მოქალაქეებთან მუდმივი კომუნიკაციითა და გუნდური თანამშრომლობით შესაძლებელია არსებული გამოწვევების ეტაპობრივი დაძლევა და მოსახლეობისთვის უკეთესი გარემოს შექმნა. მომავალშიც ჩემი საქმიანობის მთავარი პრიორიტეტი იქნება ხალხის ინტერესების სამსახურში ყოფნა, მათი პრობლემების მოგვარების ხელშეწყობა და ისეთი გადაწყვეტილებების მხარდაჭერა, რომლებიც რეალურად დადებით ცვლილებებს მოუტანს მთლიანად მუნიციპალიტეტს და თითოეულ მოქალაქეს.

თამთა ბაკურაძე

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი

ფრაქცია ,,ევროპელი სოციალისტების'' თავმჯდომარის მოადგილე

23 ოქტომბერი, 2026 წელი